მარიამ სიჭინავა, თამარ ქარჩავა, თათია ქურციკიძე

გდანსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი

19-23 მაისს, პოლონეთის ქალაქ გდანსკში, Erasmus+-ის პროგრამის ადმინისტრაციული მობილობის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის წარმომადგენელმა თამარ ქარჩავამ, სამართლის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციულმა დირექტორმა თათია ქურციკიძემ და ასევე, წარმომადგენელმა სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტიდან, მარიამ სიჭინავამ, მიიღეს მონაწილეობა როგორც აკადემიურ აქტივობებში, ისე კულტურულ და საგანმანათლებლო პროცესებში, რომელიც გდანსკის უნივერსიტეტში, პოლონეთი.

პროგრამის ფარგლებში, მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა გასცნობოდნენ ქალაქ გდანსკის ისტორიას, ადგილობრივ კულტურასა და ტრადიციებს. ასევე გაიმართა სემინარი ცნობიერების ამაღლებასთან და სტრესის შემცირებასთან დაკავშირებით, რომელშიც მონაწილეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა დაგეგმილ ადმინისტრაციულ აქტივობაში, რამაც გააღრმავა მათი გამოცდილება.

ვიზიტის მიზანი იყო უნივერსიტეტებს შორის გამოცდილების, აკადემიური პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გაღრმავება. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები. მონაწილეებმა წარმოადგინეს თავიანთი უნივერსიტეტები, გაცვალეს ინფორმაცია საგანმანათლებლო სისტემებსა და ინსტიტუციურ სპეციფიკებზე რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესებას და აღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან.